ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1940734

ნომერი: AR1313307

თარიღი : 27.05.2015

გაცემის თარიღი : 08.06.2015

გაცნობის თარიღი : 09.06.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაქტერიოფაგის ღობესა, და საპროექტო გზას შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ჭოხონელიძე პ/ნ 01017014488
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე"

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

როგორც უკვე თქვენთვის ცნობილია საკითხი ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 30 აპრილის #18 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მდ. მტკვრის მარკვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგის ღობესა და საპროექტო გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.13.016.008), საოფისე შენობის ან კლინიკის ან საბავშვო გასართობი ცენტრის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის – სარეკრეაციო ზონა 1–ის, სპეციალური ზონა 1–ით ცვლილებას მიეცა თანხმობა,სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით. ზემოთთქმულიდან გამომდინარე საკრებულოს საბოლო გადაწყვეტილების მიღებამდე არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.